

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

PROBLEMS AND PROSPECTS OF ATTRACTING FOREIGN IN INVESTMENTS IN GEORGIA

დავით ბიძინაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

DAVT BIDZINASHVILI

PhD in Economics,
Professor of Gori State Teaching University

ანოტაცია

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

Abstract

Of particular importance for attracting foreign direct investment. Liberal investment environment and equal conditions for local and foreign investments, Georgia attractive for foreign investors. Stable economic development, liberal and free-market economic policies, only 6 taxes and reduced tax rates, licenses and permits, administrative simplicity, preferential regimes with foreign countries, a favorable geographical location, well-developed and integrated transport system, an educated, skilled and competitive labor force, and many other factors of a solid foundation for successful development of business in Georgia.

ზოგადად ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება მრავალ, ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტორზე არის დამოკიდებული. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური სტაბილურობა, არაკონფლიქტური რეჟიონი, სწრაფად მზარდი და პროგრესირებადი ეკონომიკური მაჩვენებლები, საკუთრების უფლების დაცვის გარანტია და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ჯანსაღი ფინანსური ბაზრები, კაპიტალის მოძიების ალტერნატიული და დივერსიფიცირებული წყაროებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2016 წლის პირველი კვარტლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, წინასწარი

მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის I კვარტალში 376 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 103 %-ით მეტია 2015 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2016 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 103%-ით გაიზარდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი 36%, თურქეთი 15%, გაერთიანებული

სამეფო 12%, კორეა 9%, ნიდერლანდები კი 6%.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აზერბაიჯანიდან 137 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, თურქეთიდან - 57 მილიონი დოლარის, გაერთიანებული სამეფოდან - 44 მილიონი დოლარის. რაც შეეხება კორეას, ამ ქვეყანამ საქართველოში 32 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელა, ნიდერლანდებმა კი 22 მილიონი დოლარის.

საქსტატის ცნობით, 2014-2016 წლებში ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2014 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა და აღნიშნულმა მონაცემმა 726 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა 185 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში 309 მილიონი აშშ დოლარი იყო.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2015 წელს, 1 351 მლნ დოლარის, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 23%-ით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. ინვესტიციები განსაკუთრებით შემცირდა ისეთ დარგებში როგორცაა ენერჯეტიკა 52%-ით, დამამუშავებელი მრეწველობა 55%-ით, სამშენებლო სექტორი 59%-ით და უძრავი ქონება, სადაც 2014 წელთან შედარებით 65%-იანი კლება ფიქსირდება.

თუ ჩვენ შევხედავთ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას ბოლო წლების ტრენდის ფარგლებში, ნათლად დავინახავთ, რომ 2015 წელს საქართველოში შემოსული ინვესტიციების რაოდენობა ჩამოვარდება მხოლოდ 2014 წლის მონაცემებს და აღემატება 2013, 2012, 2011 წლის მონაცემებს. თუ ჩვენ სიტუაციას შევხედავთ ინვესტორების მოზიდვისა და დარგების მიმართ ინვესტორების დაინტერესების კუთხით, სურათი ასეთია, 2013-2015 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 7 მილიარდ 594 მლნ \$ შეადგინა, რაც 75%-ით აღემატება 2010-2012 წწ 3 წლიან შედეგს.

2015 წლის მონაცემებით, ინვესტიციების შემოდინების კუთხით, ზრდა ფიქსირდება ისეთ სექტორებზე როგორებიცაა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა + 27 %, საფინანსო სექტორი + 40 %, სოფლის მეურნეობა + 59 % და ჯანდაცვის სექტორი, სადაც 2014 წელთან შედარებით 80 %-ნი მატება ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ ეს სწორედ ის ეკონომიკური სექტორებია, რომლის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე ხელისუფლება ბოლო 2 წელია აქტიურად მუშაობს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რამაც 2015 წლის მონაცემებში, 2014 წელთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი მოგვცა, არის ეროვნული

ვალუტის დევალვაცია. ჩვენი აზრით, სწორედ ეროვნული ვალუტის რყევებს აქცევენ ინვესტორები, დიდ ყურადღებას ინვესტიციების განხორციელებამდე.

თუ შევაფასებთ 2016 წლის პირველი კვარტლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებს (376 მლნ.დოლარი), რაც 103%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე. აღსანიშნავია, რომ წლებგანდელი მონაცემები ბოლო 7 წლის მაქსიმუმია და ის მხოლოდ 2008 წლის მონაცემებს ჩამოუვარდება. მსგავსი ზრდა უცხოური ინვესტიციების კუთხით სავსებით ლოგიკურია თუ გავითვალისწინებთ რიგ საგარეო და საშინაო ფაქტორებს.

საშინაო ფაქტორებიდან მნიშვნელოვანი გამოიყოს მთავრობის შეცვლილი პოლიტიკა ბიზნესის განვითარებასა და მისი სტიმულირებისათვის, რაც პირველ რიგში გამოიხატება საკუთრების უფლების მხრივ მნიშვნელოვან წინსვლაში, რამაც ქვეყანაში გააჩინა განცდა, რომ საკუთრების უფლება არის ხელშეუვალი, რაც უცხოელი ინვესტორებისთვის არის პოზიტიური სიგნალი, საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის.

საგარეო ფაქტორების ანალიზისას, გასათვალისწინებელია საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ეკონომიკების მდგომარეობა, რომლებიც ჩვენი რეგიონის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები არიან და რომელთაც გასული წლის რეგიონალური კრიზისი მნიშვნელოვნად შეეხოთ. 2016 წლიდან კი როგორც საქართველოში ისე ჩვენს რეგიონში კრიზისმა გადაიარა და რეგიონის ეკონომიკებმაც გაჯანსაღება დაიწყეს.

რაც შეეხება იმ ინვესტორ ქვეყნებს, რომლებიც ჩვენი რეგიონის წევრები არ არიან, ამ ქვეყნებზე დადებითად იმუშავა 2015 წელს თბილისში გამართულმა „იბიარდის“ შეხვედრამ სადაც რამდენიმე მსხვილი საინვესტიციო პროექტი დაანონსდა.

ინვესტიციებში ეკონომიკური სექტორების მიხედვით, რადიკალური ცვლილებები არ არის. წელსაც ინვესტორებისთვის ყველაზე დიდი პოპულარობით ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა სარგებლობს. მეორე ადგილს იკავებს საფინანსო სექტორი. აღსანიშნავია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით გაზრდილია ინვესტიციების მოცულობა ენერჯეტიკის სექტორში, რაც განპირობებულია ამ კუთხით გატარებულ აქტიურ სამთავრობო პოლიტიკასთან ინვესტორების დასაინტერესებლად ასევე 2015 წელს დაანონსებული პროექტების გადმოწევასთან 2016 წელს.

საქსტატის ინფორმაციით, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 200 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც

მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 53 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 58 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერჯეტიკის სექტორი 40 მლნ აშშ დოლარით.

პირველი კვარტლის საინვესტიციო რეკორდად 2008 წელი ითვლება. იმ პერიოდში საქართველოში ინვესტორებმა - 537 მილიონი დოლარი შემოიტანეს. მას შემდეგ ქვეყანას უცხოელი ბიზნესმენები დიდად აღარ წყალობდნენ. წლების განმავლობაში მთავრობა, ინვესტიციების მოსაზიდად, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის მიუხედავად, 1 მილიარდიან საინვესტიციო გეგმასაც ვეღარ ასრულებდა. 2009 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციები 114 მილიონ დოლარამდე დაეცა, მთელი წლის განმავლობაში ქვეყანაში მხოლოდ 658 მილიონი დოლარი შემოვიდა.

პირველ კვარტალში საინვესტიციო მაჩვენებელმა 300 მილიონიან ზღვარს 2014 წელს გადააჭარბა, თუმცა, 2015 წელს გაუფასურების გზაზე დამდგარმა ღარმა და მასზე მიბმულმა ეკონომიკურმა კრახმა ინვესტიციების შემოდინება ისევ დაამუხრუჭა.

2016 წელს ყველასთვის მოულოდნელად, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 103 პროცენტის ნახტომი გააკეთა და როგორც უკვე აღვნიშნეთ 376 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

რა თქმა უნდა ზემოთ აღნიშნულმა მაკროეკონომიკურმა მაჩვენებლებმა ასახვა ჰპოვა ეკონომიკური წინსვლის განმსაზღვრელ მთავარ ინდიკატორზეც და 2016 წლის პირველ კვარტალში მშპ-ს ზრდამ 2,8%-ი შეადგინა, თუმცა უკვე აპრილში ეკონომიკის ზრდა 4,3%-ით განისაზღვრა.

ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებამ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ბიძგი მისცა. ფონი რეგიონიდან გამომდინარე გვაძლევს საშუალებას, რომ ვთქვათ, ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ძალიან კარგია, რომ ქვეყანაში კორუფციული მომენტები არ არის. ასეთი სიტუაცია ინვესტორისთვის მიმზიდველია, როცა გარემო მთლიანობაში არის დალაგებული.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ საინვესტიციო მონაცემებში, საყურადღებოა ერთი დეტალი, 2016 წლის პირველ კვარტალში ქვეყნიდან რეკორდული რაოდენობის კაპიტალი გავიდა - 955 მილიონი დოლარი, ამ თანხის დიდი წილი უცხოური ვალდებულებების გასტუმრებაზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ქვეყნიდან გასული ინვესტიციების მოცულობა წლიდან წლამდე იზრდება. ძირითადად, ხდება უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებში მოგების რეპატრიაცია თავის სამშობლოში ან კიდევ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ამ ინვესტიციის გადინება. შესაბამისად, შემოსულ და გასულ ინვესტიციებს შორის, თანდათანობით, სხვაობა ძალიან მცირდება. 2015 წლის მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში საქა-

რთველოდან 4,5 მილიარდი დოლარის კაპიტალი გავიდა. ამ პერიოდში შემოსული ინვესტიციების რაოდენობა კი მხოლოდ 6 მილიარდია. ფაქტობრივად, ინვესტორებს რაც შემოაქვთ ისევ უკან გააქვთ, როგორც ჩანს, მათთვის საქართველოში რეინვესტირება არც ისე მიმზიდველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღსანიშნავია ის, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და რესურსების სიდიდის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო უცხოეთიდან შემოტანილი ინვესტიციები, არამედ მათი შემდგომი ბედიც. კერძოდ ის, რომ წარმოების მომდევნო ეტაპზე ამ ინვესტიციებიდან მიღებული მოგება რჩება საქართველოში თუ გაედინება ფარგლებს გარეთ. რეინვესტირებაზე მოგების გადასახადის გაუქმება კარგი სიგნალი იქნება ინვესტორისთვის, ყოველწლიურად საკმაოდ დიდი თანხა გადის უცხოეთში - ასეულობით მილიონი დოლარი. ამ ფულის ბრუნვაზე გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ ეს კაპიტალი შეინარჩუნოს.

ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებამ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ბიძგი მისცა. ფონი რეგიონიდან გამომდინარე გვაძლევს საშუალებას, რომ ვთქვათ, ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ძალიან კარგია, რომ ქვეყანაში კორუფციული მომენტები არ არის. ასეთი სიტუაცია ინვესტორისთვის მიმზიდველია, როცა გარემო მთლიანობაში არის დალაგებული.

მაკროეკონომიკური სტაბილურობიდან ყველაზე დიდ პრობლემად სახელმწიფო ვალის ზრდა მიმაჩნია, ეს ფაქტი უარყოფითად მოქმედებს რეიტინგებზე. სავალუტო კრიზისი, კერძოდ, ლარის კურსის მერყეობა, ასევე ცუდად აისახება ქვეყნის იმიჯზე. უცხოური ინვესტიციების რაოდენობა ხაზს უსვამს ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობას. ამასთან, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საერთო სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ამ პროცესების დარეგულირებაში, რაც შეიძლება იყოს სწორი საკანონმდებლო რეგულირება, მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლება, კომპანიებისთვის საგადასახადო სტიმულების დაწესება, მაგალითად რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან განთავისუფლება, ასევე მსხვილი სახელმწიფო ობიექტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოს საფონდო ბირჟაზე განთავსება, რაც არ გამოიწვევს კაპიტალის გადინებას ქვეყნიდან, არამედ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება.

როგორც ვხედავთ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია აღვნიშნოთ და დავასკვნათ, რომ:

- საჭიროა უცხოელი ინვესტორებისათვის 10-20 წლიანი საგადასახადო შეღავათების დაწესება;
- უცხოელი ინვესტორებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება;
- მოქნილი დასაქმების რეგულაციების შემუშავება;
- ვრცელი საგარანტიო სამართლებრივი და დაცვის პაკეტის შემუშავება;
- მთავრობამ ბიზნესს შეუქმნას ის გარემო, რომ იგი თავად გაფართოვდეს და დაასაქმოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი;

- ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეკვეცოს სუბსიდიები და არამწარმოებლური ხარჯები, დამატებითი საბიუჯეტო რესურსები მიმართოს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და თანმიმდევრულად მოახდინოს ასეთი პროექტების დაფინანსება, პოტენციურ ინვესტორებს შესთავაზოს „მზა“ საინვესტიციო პაკეტები,
- ინვესტიციების მოზიდვის კუთხით უნდა მოხდეს მიზნობრივი, პირდაპირი მუშაობა ცალკეული სახელმწიფოების და ცალკეული კომპანიების ჭრილში.

ლიტერატურა/REFERENCES

1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo;
2. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo;
3. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=124&lang=geo;
4. <http://www.economy.ge/>
5. <http://news.ge/ge/page/sqartvelos-finansta-saministro>